საერთაშორისო ტრანსპორტის სარგებლობისათვის მუდმივი ვალუტით გადახდის საკითხის დასამუშავებლად. ეს კომისია დაიწყებს მუშაობას საფინანსო კომისიასთან ერთად. მის შემადგენლობაში შედიან დელეგატები ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და პოლონეთის. გადასწყდა სთხოვონ შვეიცარიას მონაწილეობა მიიღოს ამ კომისიის მუშაობაში.

### ეკონომიური კომისია.

გენუა 20 აპრილი. (რადიო). ეკონომიური კომისიის პირველი ქვეკომისიის სხდომა გაიმართა დილით 19 აპრილს კოლრატის თავმჯდომარეობით. საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირების ფედერაციამ წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც მოყვანილია ამ ფედერაციის გადაწყვეტილებანი ევროპის აღდგენის შესახებ მიღებული: შემდეგ ქვეკომისია შეუდგა დღიურ წესრიგის შემუშავებას. ინკოვიჩმა და შმიდტმა მოახსენეს კომისიას მცირე ანტანტის სახელით თავიანთ მთავრობათა შეხედულება საქონლის გატანისა და შემოტანის შემცირების შესახებ.

### პროფესიონალურ კავშირთა ფედერაციის რეზოლიუცია,

გენუა 19 აპრილი. (რადიო). მუშათა კონფერენციამ, რომელიც მოიწვია ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალმა დღეს დაამთავრა მუშაობა. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უნდა წარუდგინოს გენუის საერთაშორისო კონფერენციას. ამ რეზოლიუციის უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1. შრომის უფლების დაცვა, როგორც ყველაზე უფრო არსებითი პირობისა კაცობრიობის ეკონომიურად აღსადგენად, ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ჟამად ადგილი არა აქვს მდიდარ ქვეყნების ღარიბ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას. 2. აუცილებლობა საერთაშორისო მოღვაწეობის ყველა ერთა თანასწორობის პრინციპზე დაყენებისა. 3. უნდა გადაწყვეტილ იქნეს საკითხი ნედლი მასალის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. რეზოლიუციაში სხვათა შორის აღნიშნულია ნედლი მასალის განაწილებაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების აუცილებლობა. მუშათა კოოპერაცია მოითხოვს აგრეთვე ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართო ექსპლოატაციას. ერთიანი რეზოლიუცია წარუდგინა გენუის კონფერენციის პრეზიდიუმს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ინგლისელი ტომასი, ფრანგი ჟუო, ბელგიელი მარტელი, ჰოლანდიელი ანფეგენდი, გერმანელი ნუპორტი და იტალიელი არაგონა.

## საბჭოთა რუსეთში

### ამნისტია უკრაინაში.

მოსკოვი. 21 აპრილი. სრულიად უკრაინის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამნისტია გამოაცხადა ყველა იმ საზღვარ გარეთ მყოფ უკრაინელ მოქალაქეთათვის, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ სკოროპადსკის, პეტლიურას, დენიკინის, ვრანგელისა და სხვ. სამხედრო ორგანიზაციაში მუშურ-გლეხური მთავრობის მტრების ჯარებში, ყველა ყოფილ გენერლებისათვის, რომელნიც ებრძოდნენ საბჭოთა რესპუბლიკებს, სხვა და სხვა უცხოეთის მთავრობათა წევრებისათვის, ცენტრალური კომიტეტების ყველა წევრებისათვის, ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისათვის და მონარქისტულ წრეებისა და ორგანიზაციების ყველა წევრთათვის. ყველა ამ მოქალაქეთ უფლება ეძლევათ საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე შემოსვლისა, თუ ისინი მართლაც გამოიჩენენ შენანიების სურვილს. ამასთან ერთად სრულიად უკრაინის აღმასრულებელმა კომიტეტმა კანონს გარეშე გამოაცხადა შეურიგებელი მტრები უკრაინის მშრომელი ხალხისა—პაველ სკოროპადსკი, პეტლიურა, ტიუტიუნიკი, მახნო, ვრანგელი, კუტეპოვი, სავინკოვი.

### ამნისტია სასურსათო გადასახადის გადაუხდელთათვის.

მოსკოვი. 21 აპრილი. მთელ ფედერაციაში სასურსათო გადასახადის გადაუხდელთათვის ამნისტიის გასავრცელებლად იმ რაიონებში, სადაც სასურსათო გადასახადი აკრეფილია (დადგენილება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომისა 1922 წ. 27 თებერვლის თარიღით) და მისი სხვა საკანონმდებლო აქტებთან შეფარდებისათვის (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის დადგენილება 1922 წ. 2 მარტის თარიღით მთლიანი ნატურალური გადასახადის შესახებ და 1922 წ. 14 მარტის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სასურსათო გადასახადის გადაუხდელი ბეგარის შესახებ, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს. წინადადება მიეცეს ყველა საგუბერნიო რევოლიუციონურ ტრიბუნალებს და სახალხო მოსამართლეთ ამნისტიის საკითხში ხელმძღვანელობდნენ შემდეგით: 1. ამნისტიის მოქმედება ვრცელდება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ყველა გუბერნიებსა და ოლქებზე, ამითი ამნისტიის პირადი გადასახადის დანაშაულის მიხედვით უნდა ისარგებლონ გადასახადის უფლების დარღვევის ყოველ შემთხვევაში საერთოდ. ხოლო კონკრეტიული გადახდათა მიზნის საქმეში მხოლოდ საგუბერნიო აღმასკომის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის მიხედვით ცალ-ცალკე ყოველ თვითეულ შემთხვევაში. შენიშვნა: ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ სასურსათო გადასახადის უფლების დარღვევათა საქმეში, რომელთა აკრების დამთავრებაც გამოცხადებულია 1922 წ. 10 მარტისთვის. 2. ამისდა მიხედვით ყველა საქმეები გადასახადთა უფლების დარღვევისა, რომელიც ჯერ გაურჩეველია ტრიბუნალებისა და სახალხო მოსამართლეთა მიერ სასამართლოს გზით ისპობიან და გადაეცემიან სამაზრო აღმასკომს, რათა ჩაუბარებელი ნაწილი გადასახადისა ჩაეწეროს გადაუხდელად და გამორკვეულ იქნეს ჯარიმის რაოდენობა და აგრეთვე გადასახადის გადახდის უპირატესობათა გამორკვევისათვის. 3 იმ საქმეების შესახებ, რომელიც უკვე გარჩეულია რევოლიუციონურ ტრიბუნალების და სახალხო სასამართლოების მიერ და რომელთა შესახებაც დადგენილება ჯერ არ არის კანონიერ ძალაში შესული. დამნაშავენი თავისუფლდებიან ყოველგვარ სასჯელისაგან, ხოლო საქმეები გადაეცემიან სამაზრო აღმასკომს გადაუხდელი გადასახადის გამოსარკვევად, თანახმად ამ დადგენილების მე-2 მუხლისა. 4. იმ საქმეებზე, რომელნიც უკვე გარჩეულია და დადგენილებაც ძალაშია შესული.., (გამოტოვებულია) 6. იმ საქმეთა შესახებ, რომელზედაც დადგენილება გამოტანილია და გაგზავნილი ასასრულებლად პირადი ამნისტია ისეთ პირებზე, რომელნიც დაშლილნი არიან და მისჯილი აქვთ იძულებითი მუშაობა, ავრცელებს საგუბერნიო განმწესრიგებელი კომისია. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი მდივანი ა. ენუქიძე.

### ამერიკელის წინადადება

მოსკოვი. 21 აპრ. ერთმა ცნობილმა ელექტრიკმა შტეინმეცმა მიმართა ამხ. ლენინს წერილით, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია. გამოვსთქვამ ჩემ აღფრთოვანებას იმ გასაკვირველი მუშაობის შესახებ, რომელიც მიმართულია სოციალური და ეკონომიური აღორძინებისაკენ, იმ მუშაობის, რომელსაც რუსეთი ასრულებს ეგზომ მძიმე პირობებში. ვუსურვებთ რა ნაყოფიერებას და მწამს რა, რომ თქვენი მუშაობა სრული გამარჯვებით დამთავრდება, ძლიერ მოხარული ვიქნები თუ ტეხნიკურ საქმეებში და განსაკუთრებით ელექტროფიკაციაში შევძლებ რითიმე დავეხმარო რუსეთს.

ამხ. ლენინმა წერილობით უპასუხა შტეინმეცს რომელშიც მადლობას უძღვნება დახმარების აღთქმის შესახებ და აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ თანდათან იზრდება რიცხვი იმ მეცნიერთა, ტეხნიკოსთა და ხელოვანთა, რომელნიც დღითი დღე რწმუნდებიან კაპიტალიზმის ახალი საზოგადოებრივ—ეკონომიური წყობილებით შეცვლის აუცილებლობაში.

ამხ. ლენინი ნებას აძლევს თავისთავს გამოაქვეყნოს პრესაში შტეინმეცის წერილი რადგან ამერიკასა და რუსეთს შორის ოფიციალურ დამოკიდებულებათა უქონლობა ძალიან აძნელებს შტეინმეცის წინადადების განხორციელებას.

ამხ. ლენინს სწამს რომ მრავალი პირი, რომელნიც ცხოვრობენ ამერიკაში და მასთან რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების მქონე სახელმწიფოში შესძლებს განახორციელოს შტეინმეცის საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ მუშაობის განზრახვა.

### ვაჭრობა საზღვარ-გარეთთან

მოსკოვი. 21 აპრ. ოდესაში მოვიდა ამერიკული გემი „ლლოიდ ტრიესტინი" საზოგადოებისა, რომელმაც მოიტანა 2.800 ტონი სხვა და სხვა საქონელი.

### მენშევიკების მონანიება

მოსკოვი 21 აპრ. ხერსონის გაზეთებში გამოქვეყნებულია მენშევიკების ლიდერების წერილი სადაც ისინი აცხადებენ მენშევიკურ პარტიიდან გასვლას და სურვილს რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებში ჩადგომის განზრახვას.

## ამხ. სიმონ ხუნდაძის სიტყვა

(წარმოთქმული ცენტრალურ აღმასკომის აპრილის 14-ის სხდომაზე ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს)

ამხანაგებო! მიუხედავად იმისა, რომ პატივცემულმა მომხსენებელმა ითხოვა ყარსის ხელშეკრულება დამტკიცებულ ყოფილიყო ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ერთხმად, რასაც თვითონ მოითხოვს რევოლიუციის უმაღლესი კანონი,—მიუხედავად ამისა სოციალისტ ფედერალისტთა ფრაქციას მაინც სურს ერთგვარი დისონანსი შეიტანოს და თავისი საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვას ამ ხელშეკრულების შესახებ. უნდა თავიდანვე აღვნიშნო, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციას არ შეუძლია ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას, რადგანაც ის პირდაპირ საქართველოს ინტერესების საზიანოთ არის მიმართული და მოპირდაპირე მხარე არავითარ დათმობაზე არ მიდის.

მაგრამ ხელშეკრულებას ჩვენ ვერ განვიხილავთ მარტო საქართველოს ინტერესების მიხედვით. არის სხვა პირობები და [illegible] საერთაშორისო ხასიათის, რომლითაც ამ [illegible] უნდა [illegible] ხელშეკრულების განხილვის [illegible] მოიტანს [illegible] „საქართველოს ინტერესები" [illegible] ხელი მოვაწეროთ ობიექტიური გარემოებათა მიერ შექმნილ პირობების [illegible] დატენილისა და ანგარიშის გაწევის [illegible]. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ავსწონ-დავსწონოთ ეს ხელშეკრულება იმ ობიექტიურ პირობების მიხედვით რომელიც ჩვენს ირგვლივ არის შექმნილი, თუ რამდენად გვაიძულებს ჩვენ პირობები ასეთი დიდი მსხვერპლის გაღებას. ამგვარად ყარსის ხელშეკრულება უნდა იქნეს განხილული, როგორც ქართველთა ინტერესების საზომით, საერთაშორისო ობიექტიური მდგომარეობის მიხედვით. აი ამ საზომით და მიუდგეთ ხელშეკრულებას და გავსინჯოთ იგი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის, ქართველი ხალხისათვის ოსმალეთთან ხელშეკრულების დადებას და მტკიცე ურთიერთობის დამყარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისტორიულად რომ შევხედოთ საკითხს, დავინახავთ, რომ ოსმალეთის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკის ობიექტს დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა საქართველო და ამ იმპერიალიზმმა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენ ეროვნულ წარმატებას. ჩვენს შორის არის მრავალი სადავო საკითხები, რომელთა ერთხელ და საბოლოოდ გადაწყვეტა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთი დათმობისა და ინტერესთა შეთანხმების ნიადაგზე. ასეთ რიგ ოსმალეთთან სადავო კითხვების შეთანხმებით გადაჭრა აუცილებელ ისტორიულ მოთხოვნილებას წარმოადგენს ქართველებისათვის, და მე ვფიქრობ, რომ [illegible] ხელშეკრულების დადება, რომელიც ჩვენ ინტერესებთან შეფარდებული იქნება ყოველთვის მისაღებია და ნაბიჯი გადადგმული უნდა იქნას; მაგრამ არა იმ გზით და საშუალებით, რომელიც ამ ხელშეკრულებაშია გამოთქმული. ეს ხელშეკრულება პირდაპირ საზარალო და დამღუპველი არის ქართველი ხალხისათვის. მე ვრცლად შევეხები ხელშეკრულებას,,

თავმჯდომარე: თქვენს განკარგულებაში სამი წუთია.

ს. ხუნდაძე—მე არ შემიძლია ამ სამ წუთს განმავლობაში ვსთქვა რომ ხელშეკრულება ოთხს მთავარ საკითხს ეხება: პირველი არის პოლიტიკური საკითხის ურთიერთობა; მეორე — ეკონომიური დამოკიდებულების, მესამე—მოქალაქეთა და ქვეშევრდომთა საკითხებისა, მეოთხე—უმთავრესი არის ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი. პოლიტიკური ხასიათისა და დამოკიდებულების მუხლებით შეიძლება თქვენ რომ საგნებით [illegible] არის [illegible]

# სატირიკონი

## (გაზეთი გაზეთში)

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა.

№ 5. № 5.

**ხელის მოწერა.**

„სატირიკონზედ" არ მიიღება, ვინაიდან რედაქციის მეცადინეობით ტეხნიკა იმდენად განვითარებულია, რომ ჩვენი გამოცემა თავის თავად მიუვა „ტრიბუნის" ხელმომწერლებს.

**თანამშრომელთა საყურადღებოდ.**

ყოველი მასალა უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის" მისამართით და წარწერით: „სატირიკონისათვის".

### „პონტოს"

წითელ პარასკევს სადღაც საქართველოში გამოვიდა ფაზელების ორგანო „პონტოს". ანუ ჭეშმარიტ ფაზელების გამოთქმით—„გაყინული თავები კვლავ აყვირდნენ".

ძველ გიმნაზიებში ბერძნულით გატენილი თავები ეხლა გაუთბია გაზაფხულის სხივებს და ისინიც აყვირებულან ბერძნული სიტყვებით: პონტოს, ფაზის, არგოს, იაზონის, ბოსფოროს და სხვა.

ასეთ ნაწილ თავებს, რაღა თქმა უნდა ქართულიც მშვენივრად ეცოდინებათ. აი ზოგიერთი ნიმუშები ახალი ქართულისა ბ. გაფსქირის ლექსიდან „კაპარჭინის წერილები":

„შენი ზვირთებში შავი დილე სით მატარებს?"
„...ვეტრფი შენი წვიმიან დარებს".
„ჩემი გარშემო ბაღახებში—სტირის ჯედები".
„მისი სიმღერას სასახლეში ადარ მოველი"
„წვიმიანი დარებში დაიხურე კარები".
„ჩემ კვნესას აბნევენ დასავლეთის ქარები".

შესანიშნავია აგრეთვე სტეფანე კახაძის ესთეტიური ფილოსოფიის პროლეგომენა „თავები". იგულისხმება გაყინული თავები და ჩვეულებრივი თავები მას ვერ გაიგებენ. ამიტომ ავტორის პირველი თეზისი: „ჩემი გაგებით სიცოცხლე არის მრავალ ფერთა უცნაური კომბინაციაო"—ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს მას მხედველობაში ჰქონდეს თანამედროვე კომბინაციები და კომბინატორები. არა, აქ უსათუოდ უფრო ღრმა შინაარსი უნდა ვეძიოთ. მის გასაგებად არ გამოდგება, რაღა თქმა უნდა, არც სამი თითის უცნაური კომბინაცია...

გარეგნულად ჟურნალი მეტად კარგ შთაბეჭდილებას დასტოვებს „ტრიბუნის" ასოთ ამწყობებზედ. ისეთი კოხტა და ლამაზია, თითქოს ჩვენ სტამბაში იყოს აწყობილ-დაბეჭდილი. პირდაპირ სასიამოვნოა, როცა ხედავ, რა მშვენივრად შეუთვისებიათ „ტრიბუნის" „კორექტორული შეცდომები.

თოთლოს, პონტოს, ჰელესპონტოს',
გაზეტირიულ ხაოსთითის,
ფაზილოს—ყანწე—ფუტურის,
ჭეშმარიტოს და კულტურის.
მარო,—ნიკოლო—სტეფანოს,
ვაი ქალდეო—მედეანოს!

ზუიდლოხ.

—

რედაქციისაგან. პროვოკატორული ხმებს ავრცელებენ, თითქოს „პონტოსი" „სატირიკონის" ჯგუფის გამოცემა იყოს. ამ შორიტი ხმების გასაქარწყლებლად ვაცხადებთ, რომ „სატირიკონს", გარდა კორექტორული შეცდომებისა, არავითარი საერთო არა აქვს „პონტოსთან".

სატირიკონის რედაქცია.

### მენშევიკების სიზმარი

დილიურ სიცხადით გულ-დაჩაგრულსა
ღამით ეწვია სიზმრის ქანია.
ნახა: შავ ზღვით შემოდიოდნენ
ორი ნოე და ერთი ბენია.
ნოეს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ბენიასა კვერთხი შეფონის;
„დიდ ნოეს" ეჭირა ჯორჯის სურათი—
ნიშანი დიდი კომუნისტობის.
დასავლეთისკენ მიეპყრათ თვალი,
ტფილისისაკენ იშვერდნენ ხელსა
და ესფერებთან ხმა შეწყობილად
გალობდნენ ტკბილსა საგალობელსა.
„დიდო ანტანტავ! ჩვენი ხვედრია
ეს საქართველო შენგან ცნობილი,
მაგრამ წაგვართვეს ბოლშევიკებმა
და მუშებს მისცეს ის შეპყრობილი.
გვისმინე თხოვნა, ჩვენო მფარველო,
და გამოასხი ძლიერი ჯარი,
რომ დავამარცხოთ მუშურ-გლეხური
საბჭოთა მთავრობა გაუმაძღარი.
სამაგიეროთ მიირთვით ყველა,
რაც მოგვცია ჩვენთვის ზენას!
და შენ საქებრად, სადიდებლად
არ დავადუმებთ ჩვენ ტკბილ ენას,
რომლითაც ნოე ბრძნებს სცემდა,
ბენიც მარად გაღლიდრძელებდა
და „დიდი ნოე" შენსა ნებაზე
ქართველ მშრომელ ხალხს უქადაგიდა".

Dixi

### ისტორიული ანეკდოტი

დავით აღმაშენებელს უთხრეს: დაქუცმაცებულ და განადგურებულ ქვეყნის აღდგენა გაერთიანებისათვის უსათუოდ აღმაშენებელი უნდა გიწოდოთო.

— პირველობა ადვილია, ამხანაგებო, ბრძანა მეფემ, მაგრამ ვინ გამოიგონებს იმის სახელს, ვინც საქართველოს დაანაწილებსო?

— მაგაზედ კომპარტიამ იმტვრიოს თავიო, ჩაილაპარაკა მასხარამ.

—

* * *

ქემალ-ფაშა და ხონთქარი
რა ეშმაკებმა წაჰკიდა?
ვინ მოურიგდა ანგორას,
ყარსი, ბათომი დაჰპირდა?

ცეცხვი.

—

### ქრონიკა.

— სახმეურნეობის გამოგონებათა განყოფილებამ სახკომსაბს პრივილეგია მისცა ახალი ტიპის ვაგონებზედ. ახალი ასეთი ვაგონი გამოსცადეს აღდგომის არდადეგებზედ და საუცხოო თვისებების აღმოჩნდა. ასე მაგალითად, ერთი ვაგონით 3,000 სტუდენტი გადაიგზავნა დედა ქალაქიდან პროვინციებში.

— პოლიგრაფიის განკარგულებით დაიხურა სტამბა „სახალხო საქმე". როგორც გვეგებთ, მიზეზი ყოფილა ყალბის მქნელთა აღმოჩენა. პოლიგრაფიას ხელში ჩავარდნია გაზ. „ტრიბუნის" ზოგიერთი ნომრები, სადაც ამოლოიზილის მაგიერ ხან ამოლოფილი ეწერა და ხანაც ამოლოშილი. აღმოჩენილია კიდევ ბევრი ასეთი სიყალბე [illegible] ამისა ხელში ჩავარდნილით აგრეთვე [illegible] საბუთები იმისა, რომ [illegible] მოკლე დროში ყალბის მქნელებს უნდა [illegible] გადაექცეთ [illegible]: თედო — [illegible] ივანე—ოლდადე, [illegible]—ფიროსინე [illegible] ს. ხუნდაძე—ს. გოცაძე და სხვა.

— აღდგომის დღესასწაულებზედ ზოგიერთმა პირებმა სიმშილობის წინაღდეგ ზედმეტი სასმელი მიიღეს [illegible] კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათ სასარგებლოდ „ტრიბუნის" რედაქციამ ორი ნომრის ნახევარი ნაწერი ფურცელი შესწირა.

### ახალი სიმღერა.

დავდივარ და ვიმღერი,
ჭირი ბანს მეუბნება:
ნუ კითხულობთ „ტრიბუნას",
მაქსიმე გაჯავრდება.

—

ნარი მიყვარს, ნარი მე,
მიშა, საშა, მაქსიმე.
თქვენისანა პატრიოტს
თავს ლაფი დავასხი მე.

ახაა.

### ფოსტის ყუთი

ყაულას. თქვენი განცხადება არ მ[illegible] თავსდება, რადგან ვერ გავიგეთ: ცო[illegible] დაგექცეოდათ, თუ ცოლი.

გორი. ნიკუშას. არ დაიბეჭდება, [illegible] ნიდან დარწმუნებული ვართ, თვით [illegible] არ დასწერებიხართ, თორემ მემარცხენე ფედერალისტთა კრება გაცილებით [illegible] რი სასაცილო იქნებოდა, ვიდრე თქვენ აგვიწერეთ.

ქუთაისს. ნუ თუ ქუთაისში დასაცინი არაფერია?

რედაქტორი ავენა წკაპურიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ არ არის ჩვენი სადავო საკითხი. დავა და უკმაყოფილება იწყება იქ, სადაც ხელშეკრულება ტერიტორიის გადამიჯვნას ეხება და საზღვრების ხაზის გაყვანას..

რაც შეეხება ტერიტორიალური საკითხის გადამიჯვნის საქმეს, ოსმალეთთან ეს კითხვა ჩვენთვის სრულიად მიუღებლად არის გადაწყვეტილი. ამ ხელშეკრულებით საქართველო ჰკარგავს თავისი ტერიტორიის დიდს ნაწილს: არტაანუჯ-არტაანის და ართვინის ოლქებს ბათომის ოლქის სამხრეთ ნაწილს, სადაც ოსმალეთის საზღვარი სოფ. სარფამდე არის, რომელიც მე-12 ვერსზე არის სამხრეთ მანძილით ქ. ბათომიდან; ოსმალეთის ხელში გადადის აგრეთვე ახალციხის მაზრის ნაწილი—ფოცხოვის რაიონი. ამ გვარად რომ ავიღოთ ეს ტერიტორია, რომელსაც ჩვენ ოსმალეთს ვუთმობთ, ის თავის სივრცით ელზას-ლოთარინგზე მეტია. და ეს დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა, სამი მეხუთედი მთელი ბათომის ოლქისა, გადადის ოსმალეთის ხელში სრულს მის საკუთრებად. ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი ტერიტორიის რკალი ყველა მხრით მცირდება. ჩვენ შეგვიძლიან მოვიყვანოთ ფაქტები თუ როგორ მცირდება ჩვენი ტერიტორია აზერბეიჯანის და სომხეთის მხრიდანაც, მაგრამ საკმარისია გავითვალისწინოთ ეს ხელშეკრულება და აქ გატარებული სადემარკაციო ხაზი რომ დავინახოთ საქართველოს დანაკლისი. ყარსის ხელშეკრულებით გამოწვეული ტერიტორიალური დანაკლისი დიდ ზიანს აყენებს საქართველოს პოლიტიკურად, ეკონომიურად და სტრატეგიულად.

პოლიტიკური მხრივ აქ ეროვნულ მომენტს შეეხება. ეთნოგრაფიულად და ისტორიულად, ყოფა-ცხოვრებით და წარმოშობით ეს მხარეები განუყოფელი ნაწილი არის საქართველოსი.

შესაძლებელია ითქვას, რომ უმეტესად ართვინისა და არდაგანის ოლქისა თუმცა ქართველობაა, მაგრამ კულტურულად იქ ოსმალეთია გაბატონებული. რაც შეეხება ბათომის ოლქის შუა სექტორს, რომელიც ოსმალეთის საკუთრებაში გადადის, იქ უმეტესობა ქართულად მოლაპარაკე და ქართული კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფება. იმერხევის, ლიგანის, ზემო მაჭახელის, ბორჩხის რაიონები ქართულია კულტურისა და ენის მხრივაც როგორ მოიქცევა პოლიტიკურად ამ მხარეს ოსმალეთი? რასაკვირველია იგი აგრესიულ პოლიტიკას გატარებას შეეცდება და მაშინვე ქართველების დენაციონალიზაციას შეუდგება, ოსმალეთი შეეცდება განაგრძოს თავისი ძველი პოლიტიკა და აღმოფხვრას აქ ქართული კულტურის ელემენტები, ისე როგორც ართვინსა და არდაგანში მოიწადინა. იქიდან თქვენ დაინახავთ, რა ამ ხელშეკრულებით მარტო ტერიტორიას კი არ ვკარგავთ, ამით ჩვენ ხელს უწყობთ ქართველი ერის დენაციონალიზაციას, რომელსაც ცხადია მას ოსმალეთი უქადის. ჩვენ ვერ დავთმობთ ვერც ერთ ნაწილს ჩვენი ტერიტორიისას მით უფრო მაშინ, როდესაც ტერიტორიასთან ერთად ჩვენ ვკარგავთ ერთს სხეულის ნაწილსაც რასაც ხელს შეუწყობთ ამ ხელშეკრულების მიღებით.

თქვენ იცით, რომ საქართველო მდიდარია ბუნებრივი დოვლათით მაგრამ ეს სიმდიდრე გამოყენებული არ არის დღეს-დღეობით, და ჩვენი სამეურნეო ცხოვრება ძლიერ დაქვეითებას განიცდის. ჩვენში ორი მადანი არის ცნობილი: სპილენძისა და მარგანეცის. სპილენძის წარმოება იყო ბათომის ოლქში და ბორჩალოს მაზრაში. ბორჩალოს მაზრის სპილენძის ალავერდის სამრეწველო რაიონი გადაეცა სომხეთს სავსებით. ამ ხელშეკრულებით ბათომის სპილენძის რაიონი გადადის ოსმალეთის ხელში. ბათომის ოლქში სპილენძის მრეწველობა განვითარებული იყო მურღულისა და კვარცხანის რაიონებში, სადაც საუკეთესო ხარისხის სპილენძია. ეკონომიურად თუ მოუვლით ამ კითხვას ისეთს მდგომარეობაში ვდგებით, რომ უმთავრეს წყაროს ეკონომიური ალორძინებისას ჩვენ ვკარგავთ. ეს დიდი სამეურნეო დოვლათი სავსებით გადადის ამ ხელშეკრულობის ძალით ოსმალეთის სრულს განკარგულებაში.

სტრატეგიულის მხრითაც ამ ხელშეკრულებით ჩვენ დიდი ზიანი გვადგება. ყველასთვის ცნობილია, რომ ყარსი, არდაგანი და ართვინი დიდი სტრატეგიული პუნქტებია ამიერ-კავკასიისათვის. ოსმალეთი ამ პუნქტების დაჭერით იჭერს ამიერ კავკასიის საზღვრებში. მაგრამ ჩვენ ვკარგავთ არა მარტო ამ პუნქტებს, ჩვენ ვკარგავთ თვით ბათომის ოლქის შუა სექტორსაც, რომელიც აუცილებელი პირობაა ქ. ბათომის დასაცავად. ბათომის სადემარკაციო ხაზი პირდაპირ დამღუპველად არის გაყვანილი და დიდ უპირატესობას აძლევს მოწინააღმდეგეს. აიღეთ ჭოროხის ვიწრო გასავალი. ვინც ამას ფლობს, ვისაც ეს უჭირავს ხელში ის ბატონობს ბათომში. ეს გასავალი წარმოადგენს ბუნებრივ საფარს ბათომისათვის. რა ხდება? ის, რომ ხელშეკრულებით ეს პუნქტები იკარგება და ბათომი ყოველთვის საფრთხეში იქნება. აიღეთ აგრეთვე ფოცხოვის რაიონი, სადაც უმაღლესი მწვერვალი გადადის ოსმალეთის ხელში და ამნაირად ახალციხისაკენაც შემოსასვლელი კარი ხელთ ექნება ოსმალეთს. ამგვარად სტრატეგიულად უფრო უარეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამ დიდი და მნიშვნელოვანი ადგილების გადაცემით ოსმალეთი გაბატონებულს მდგომარეობაში დგება ამიერ-კავკასიის შემოსასვლელ კარებთან. ნუ დავივიწყებთ წარსულს და ნუ ვიტყვით, რომ ოსმალეთმა ხელი აიღო აგრესიულ პოლიტიკაზე. ჩვენ ვიცით რომ ქემალ ფაშა არც კომუნისტია, არც რევოლიუციონერი, ის იმ პოლიტიკას ატარებს, როგორსაც აწარმოებდნენ მისი წინაპრები.

თუ ჩვენ ამ ხელშეკრულებას გავითვალისწინებთ საერთოდ დავინახავთ, რომ ოსმალეთი საქართველოსა და სომხეთის ყოფნას ხალხის ხარჯზე ჰკრავს ხელშეკრულებას და მისი მხრით კი არავითარ დათმობას არ აქვს ადგილი, ჩვენ დავინახავთ რომ ოსმალეთი გამარჯვებული იჭერება აქ და იჭერს ისეთს პუნქტებს, საიდანაც შეიძლება ლახვარი ჩასცეს საქართველოს. იგი სხვისი საკუთრების დატაცებაში არის. ოსმალეთი სასტიკად დამარცხდა საერთაშორისო ომში, მაგრამ ისეთს მდგომარეობას ჰქმნის, ისეთს პოლიტიკურს კომბინაციებს აკეთებს, რომელიც მას გამარჯვებას ანიჭებს და გამოხატავს აგრესიულ პოლიტიკის წარმოებას. ამ პოლიტიკის მსხვერპლი შეიქმნა ქართველი და სომეხი ხალხი.

ამგვარად ხელშეკრულებით გადაჭრილი ტერიტორიის გარეშე ჯვნის საკითხი ჩვენ უარდეს ზიანსა და ხიფათს გვიქადის. მაგრამ თუ ჩვენს განკარგულებაში დარჩენილ ბათომის ოლქის საკითხს განვიხილავთ, დავინახავთ რომ იქაც ქართველი ხალხი დიდ ზარალში არის. ჩვენ მთელს ბათომის ოლქს ოსმალეთის ნაციონალურ საკუთრებად ვაღიარებთ ამ ხელშეკრულებით. ოსმალეთი გვითმობს ჩვენ სიუზერენიტეტს ქ. ბათომზე და მის ახლო მდებარე რაიონებზე, მხოლოდ მოითხოვს რომ მიწის საკითხი ბათომის რაიონში იქნეს გადაწყვეტილი ადგილობრივ პირობების მიხედვით და აჭარას მიენიჭოს ფართო ავტონომია. რაც ძველი მთავრობის დროსაც ჰქონდა მინიჭებული და საბჭოთა ხელისუფლების დროს რეალურად იქმნა განხორციელებული. რას ნიშნავს ეს სიტყვა სიუზერენობა, ამას მაშინ გაიგებთ როდესაც ხელშეკრულების მე-2 მუხლს მიაქცევთ ყურადღებას. ოსმალეთის ტერიტორიად ხელშეკრულების ძალით აღიარებული არის ის ტერიტორიები, რომელიც განსაზღვრული იყო 1920 წ. ოსმალეთის ეროვნულ ყრილობის მიერ. ამ გეგმაში ბათომის ოლქი შედის როგორც ოსმალეთის განუყრელი ნაწილი და მას კუთვნილ ტერიტორიისა. ამ გვარად ყარსის ხელშეკრულებით ჩვენ ბათომს ოსმალეთის სრულს საკუთრებად ვაღიარებთ. აგრეთვე ჩვენ ვიცით, რომ ქემალ-ფაშას დიდ ეროვნულ ყრილობაში ჰყავს წარმომადგენელი ბათომის ოლქისა ვინმე ხიმშიაშვილი, რომელიც ადასტურებს რომ ბათომის ოლქი ოსმალეთის საკუთრებას შეადგენსო. ოსმალეთმა ხელშეკრულებით მიისაკუთრა ბათომის ოლქი და თავის სუვერენულ კუთვნილებად აღიარა. ამ თავის ნაციონალურს დოვლათზე ის უთმობს საქართველოს ერთგვარ ხელისუფლებას, სუზერენობას, უკეთ მოხმარის უფლებას განსაზღვრული კომპენსაციით.

შეიძლება ისეთს ხელშეკრულებას ხელი მოვაწეროთ, რომელიც გვეუბნება, რომ ბათომის ოლქი ოსმალეთის საკუთრებას შეადგენს და მხოლოდ დროებით მოსახმარად არის საქართველოს ხელშიო? რასაკვირველია ამას ვერც ერთი ქართველი რევოლიუციონერი ხელს ვერ მოაწერს, იმიტომ რომ ბათომი საქართველოს განუყრელი ნაწილია და ასეთ საკითხის გადაწყვეტა არის ქართველი ერის ტერიტორიის დაქუცმაცება. ამიტომ ჩვენ ამ ხელშეკრულებას ხელს ვერ მოვაწერთ, ასეთი ხელშეკრულება ჩვენთვის მიუღებელია. ერთი ჩვენი მთავარი სადავო საკითხი ოსმალეთთან წარსულში ის იყო, რომ ბათომის ოლქი და მთელი სამაჰმადიანო საქართველო ქართველ ხალხის განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია. დღეს ამ სადავო საკითხს ყარსის ხელშეკრულება ერთი უბრალო კალმის მოსმით სწყვეტს ოსმალეთის სასარგებლოდ და ქართველი ხალხის საზიანოდ. მაგრამ დღესაც ყველას გასაგონად ხმა მაღლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბათომი ჩვენი საკუთრებაა, ბათომს ვერავის დავუთმობთ. (ტაში).

# ფანტასტიური ქორწინება.

(პოემიდან „გარდაცვალება")

... დაიწვა ვნება. და ჩემი გული გააქალაქეს, ვით რესტორანი.
უიმედობამ მე გადამთელა და სული წმინდათ დამდევს ყორანი.
მაგრამ ფერწასულ დღეთა გლოვაში მალე გაქრება სიცოცხლის ტრფობა.
მეც შენთან მოვალ და გაციებულს, გადამეხვევი, როგორც ობობა.
თითქოს განმზადილს ჯვარდასაწერად სამარადისო კოცნით დალორწილს
გვერდს დაგიდგები და ფანტასტიურს მე გადაგიხდი საფლავში ქორწილს.
და შენი ცივი ატორტმანება გადააგორებს საფლავზე ლოდებს.
ჩვენ ერთად შევქმნით მეორე კანნას—ქრისტეს ქიშპობაც რომ
მოგველოდდეს
და ყოველ წლობით—თეთრ დეკემბერში—(თვე მე და შენი გარდაცვალების)
იქმნება მესსა ანთებულ ვნების. ჩვენი უხორცო ძვალთა წვალების.
ამ დროს იქნება სოფლად დღეობა. ვნება ასტეხავს იქ გოგო-ბიჭებს.
ჩვენს საფლავებზე მოხუცი მღვდელიც ჯვარგადახსნილი გადააბიჯებს.

**ნიკოლო მიწიშვილი.**

ასეთია ამხანაგებო თვითონ ბათომის საკითხი გადაჭრილი ხელშეკრულებით. ბათომის შესახებ [illegible] მუხლები არის შეტანილი ხელშეკრულებაში და ოსმალეთს შეუძლია, თუ შესაფერისი პირობები დადგა და [illegible] დაკრავს მოითხოვოს ბათომი.

თავმჯდომარე: თქვენი დრო გათავდა.

ხ. ხუნდაძე: მე შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ ჩემი აზრი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლიუციის ინტერესი და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც შექმნილი არის ჩვენს გარშემო არ მოითხოვს ამ ხელშეკრულების დადასტურებას. ჩვენ უნდა ავწონ-დავწონოთ ეს საერთაშორისო მდგომარეობა, ძალთა განწყობილება და ობიექტიური პირობები. ამის მიხედვით გადავწყვიტოთ შემდეგი ნაბიჯები. ამ პირობების მიხედვით, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია დღეს ბრესტის ხელშეკრულება განვიმეოროთ. ჩვენ თუ გავიხსენებთ ბრესტის ხელშეკრულებას, როცა ლენინმა შეკრა ზავი და შევადარებთ იმ პირობებს დღევანდელთან, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ დიდი განსხვავებაა. ჩვენ მაშინ ვამბობდით ბრესტის შესახებ, რომ ეს სამარცხვინო კი არა, არამედ გენიალური ხელშეკრულება იყო, რადგან ამას მოითხოვდა მაშინდელი ობიექტიური გარემოება და პირობები. მაგრამ დღეს ობიექტიური პირობები ამიერ-კავკასიისა სრულიად არ მოითხოვს რომ ბრესტის ზავი ყარსში განვიმეოროთ და ასეთ ხელშეკრულებას ხელი მოვაწეროთ. მაშინ საბჭოთა რუსეთს ხელისუფლებას ძალა არ ჰქონდა, იგი დასუსტებული იყო, შიგნით და გარეთ შემოზღუდული იყო მტრებით. დღეს კი, როდესაც რუსეთის წითელმა არმიამ გაანადგურა შინაური კონტრ-რევოლიუცია, მოიგერია გარეშე მტრები და იმპერიალისტური ქვეყნები აიძულა მასთან საზავო ურთიერთობაში შესვლაზე, დღეს როდესაც რუსეთი ისეთ პირობებში არის, რომლის წინაშე ქედი მოიხარეს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებმა, შეუძლებელია ასეთი ხელშეკრულების მიღება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროპამ ხელი აიღო რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ჩვენ ისეთს პირობებში ვიმყოფებით და ისეთი ტერიტორიალური მდებარეობა გვიჭირავს, რომელიც ყოველთვის იქნება რევოლიუციისა და იმპერიალიზმის ბრძოლის სარბიელი. ამიერ-კავკასია გზა და ხიდია ახალი აღმოსავლეთისათვის და თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობით იგი დიდ ღირებულებას წარმოადგენს. დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი შეეცდება, რომ რევოლიუციას საფრთხე განუმზადოს აქ, აღმოსავლეთის შესასვლელ კარებთან ჩადგეს და პოლიტიკური საზღვარი დაუდვას რევოლიუციონურ მოძრაობას, როგორი პირობები არის ამ მხრივ შექმნილი ჩვენს ირგვლივ? ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ სევრის ხელშეკრულებამ ნაციონალური მოძრაობა გამოიწვია ოსმალეთში. ეს იყო თავდაცვის ნაციონალური მოძრაობა და არა რევოლიუციონური სოციალისტური. ეს მოძრაობა არ იყო მიმართული იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის გასანადგურებლად საერთოდ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა. აქ არ არის კავშირი რუსეთსა და ანატოლიის შორის. როდესაც საკითხი დადგება იმპერიალიზმთან საბრძოლველად და მისი აღმოსაფხვრელად, ჩვენ ანატოლია ვერ გამოგვყვება და არც გამოგვყვება ამ შემთხვევაში. ანატოლია ჩვენი შემთხვევითი თანამგზავრია და რომ იმპერიალისტურმა ევროპამ ოსმალეთის საკითხი გადაჭრას სხვანაირად დაეთანხმდეს სევრის ხელშეკრულობის გადასინჯვაზე, მაშინ შეიძლება ოსმალეთი გადაიბიროს თავის მხარეზე და თავის რიგში მოაქციოს. შესაძლებელია ოსმალეთის, ანატოლიის მთავრობასთან ანტანტამ ისეთი ხელშეკრულება დასდოს, რომ ჩვენს უსაშინელეს საფრთხის წინაშე დაგვაყენოს. ამის ნიშნები არის და ანტანტა იმის ცდაში არის, რომ გენუას კონფერენციისათვის აღმოსავლეთის საკითხი მოაწესრიგოს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ობიექტიური პირობები და არც რევოლიუციის ინტერესები არ მოითხოვდნენ ასეთი ხელშეკრულების დადებას. ჩვენ დროებით მაინც შევჩერდეთ, გენუას კონფერენციას მაინც მოვუცადოთ და არ მივცეთ დასტური ისეთს ხელშეკრულებაზე, რომელიც ყველ მხრივ საზიანოა ჩვენთვის.

მე ვერ ვხედავ ისეთ ობიექტიურ პირობებს, რომ ქართველი ხალხი ასეთ მსხვერპლის გაღებაზე დათანხმდეს და დასთმოს ის ნაწილი თავისი ტერიტორიისა, რომელიც აუცილებელი არის მისი არსებობისათვის. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ფიქრობს, რომ ამ ხელშეკრულების დადებას არ მოითხოვს არც რევოლიუციისა და არც საქართველოს ობიექტიური მდგომარეობა და პირობები და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი ხელშეკრულობის დადასტურებისა. ეს ხელშეკრულება ჩვენთვის მიუღებელი არის, მიუღებელი არის რევოლიუციის ინტერესებისათვისაც და მას ხელი არ უნდა მოაწეროს საქართველოს უმაღლესმა ორგანომ—ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

# თესვის კამპანია

**წალკის რაიონი.**

წალკის რაიონის მცხოვრები მეტად მრავალ ეროვანია. მცხოვრებთა რიცხვი სულ უდრის 50000 ადამიანის რიცხვს. მათ შორის არიან: ბერძნები (60 პროც.) სომხები (26 პროც.), და ბოლოს ქართველები და გერმანელები (40 პროც.) ასევე იყო ევროპიულ იმპერიალისტურ ომის დაწყების დროსაც, წალკის რაიონში თესვის კამპანია დაიწყო მარტის ნახევრიდან. მცხოვრებნი ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას. დროზე დახნეს მიწები, თითქმის მიწის სივრცის რაოდენობა გადაამეტეს. თესლი ბევრი ადგილს დააკლდით. შარშანდელ წელთან შედარებით თესვის კამპანია წელს კარგად მიდის. ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს. წელს წალკის რაიონში მოხნულია 18000 დესეტინა მიწა, მაშინ როდესაც ომამდე 15000 მეტი დესეტინა არ იხვნებოდა. მოხნულ მიწიდან დათესილია ჯერ მხოლოდ 13 ათასი დესეტინა და თუ მოხნულ მიწის მთლად შესძლებენ დათესვას, წალკის რაიონი არამც შესძლებს ყოველივე ბეგრის გადახდას, არამედ რაიმე სურსათიც შეტანაც არ დასჭირდება.

— წალკის რაიონმა ცენტრალური თესვის კომიტეტისგან, დასათესად მიიღო: 1000 ფუთი ავსტრალიის ხორბალი და 2000 ფუთი სასურსათო ბეგარიდან აღებული დასათესი მასალა. ამ კვირაში რაიონი მიიღებს კიდევ 1000 ფ. ავსტრალიის ხორბალს. თესვის კამპანია წალკაში გაგრძელდება 23 მაისამდის. რაიონში საჭიროა აგრონომიული დახმარება. წალკას არ მოეპოვება სასოფლო სამეურნეო იარაღები.

# ახალი ამბები

— **სიმშილი საქართველოში.** ბორჯომის აღმასკომი დეპეშით ატყობინებს საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტს, რომ ბორჯომის რაიონში სიმშილი თან და თან მატულობს. აღმასკომში ბევრი მოდის და დახმარებას თხოულობს.

— **მოქალაქეთა უფლებების პროექტი.** სახალხო იუსტიციის კომისარიატთან არსებულმა კანონმდებლობითი განყოფილებამ გამოიმუშავა პროექტი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებების შესახებ.

— **თესლეულობის განაწილება.** ცენტრალური თესვის კამპანიის მთავარმა რწმუნებულმა ამხ. [illegible]ევიტმა ბათომიდან ჩამოიტანა 50.000 ფუთი ავსტრალიის ხორბალი, რესპუბლიკის სხვა და სხვა რაიონებში გასანაწილებლად.

— **საბურთალოს ამოშრობა.** ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულმა შერეულმა კომისიამ დაათვალიერა საბურთალო და შეუდგა პროექტის შედგენას ჭაობიან ადგილების ამოსაშრობად.

— **თესვის კამპანია ახალქალაქის მაზრაში.** ახალქალაქის მაზრაში თესვის კამპანია ინტენსიურად სწარმოებს. ადგილობრივს თესვის კამპანიის კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტიდან მიიღო 6000 ფუთი ავსტრალიის ხორბალი. ამ კვირაში კიდევ კომიტეტს მიეცემა 5000 ფუთი ასეთივე ხორბალი. ამრიგად მცხოვრებთ საშუალება მიეცემათ თავის საჭიროებაზე მეტი ხორბალი მოიყვანონ. ამ წელს დათესილი ადგილი დაახლოვებით უდრის 54 000 დესეტინა მიწას.

— **მოსავალი კახეთში.** დამდეგ გაზაფხულზე კახეთის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. ყანები ძლიერ კარგია. ვენახებსაც კარგი თვალი აქვს. მხოლოდ მაზიამანის შოვნა მეტად ძნელია. ადგილობრივ არავის არ მოაქვს და ტფილისში მაზიამანი ფუთი 1,200.000 მან. ფასობს. ამ ცოტა ხანში წვიმებიც იყო, საერთოდ თუ შემდეგშიაც ბუნებამ ხელი შეუწყო, წელს კახეთში კარგი მოსავლის იმედი აქვთ.

— **წიგნის ახალი მაღაზია.** ამხანაგობა „სორაპანს",—მთავრობამ ნება დართო გახსნას წიგნის მაღაზია. წიგნის საწყობი უკვე გაიღო გიორგიევის ქუჩაზე, 14. (ალექსანდრეს ბაღის თავში) სადაც იყიდება ყოველგვარი ქართული გამოცემანი, იქვე მიიღება საკომისიოდ სხვა და სხვა წიგნებიც.

— **ნ. ბართაშვილის წიგნის ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ცხადდება, რომ ხელის მომწერნი, რომელნიც ბარათს წარადგენენ, შეუძლიათ ფასდამატებით მიიღონ ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა. წიგნი გაიცემა პირველ აპრილიდან და შეწყდება პირველ ივნისს. მისამართი ქ. შ. წ. ს. მაღაზია (ორიანტის ქვეშ).

— **ტრამვაის ტარიფი.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ტფილისის ტრამვაის 1 და 2 ნომრების განსაკუთრებული ფასები გადიდონ 5000 მ.—10.000 მანეთამდე და 10.000 მ.—18 მანეთამდე. დანარჩენ ვაგონებზე ტარიფი რჩება ძველი. №№ 5 და 3-ზე მიმატებულია მისაბმელი ვაგონები.

— **იძულებითი მუშაობა.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული კანონმდებლობითი განყოფილება იმუშავებს 3 [illegible] იძულებითი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, რომლის განხორციელება მიენდობა ადგილობრივ ბიუროებს.

— **ხარკის საკრებულო ტფ.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა: რაიონების ხარკის საკრებულოებში თავიანთ წარმომადგენლებად დანიშნოს ტფ. ქალაქის საბჭოს წევრები.

— **ამხანაგური დისციპლინარული სასამართლო.** ტფ. ქალაქის აღმასკომში ამხანაგურ დისციპლინარულ სასამართლოში წარმომადგენლად დანიშნულია ამხ. ბურჯანაძე, კომუნალური მეურნეობასთან არსებულ სანიტარულ-ტეხნიკურ აღმშენებლობის ქვეგანყოფილების გამგე.

— **წყალსადენის შეკეთება.** ქალაქის წყალსადენის შეკეთება ავჭალის სადგურში უკვე სწარმოებს და ამ ზაფხულს დამთავრდება.

— **სასოფლო სამეურნეო იარაღები.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მოსკოვში გაგზავნილ სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო სურსათი, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე გადაცვლილად მოსკოვიდან მიიღო შემდეგი ს. სმ. იარაღები: სეპარატორები, კულტივატორები და სხვ. მანქანები.

— **თესვის მასალა.** სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ ცენტრალურ თესვის კომიტეტიდან მიიღო 2000 ფუთი თესლის მასალა.

— **მეთევზეობა.** ყარაიაზის ტბის დასათვალიერებლად ყარაიაზში გაიგზავნა სპეციალური მეთევზეების კომისია. შემდეგ სპეციალისტთა შემადგენლობით: ნ. ვირონინი, ზ. ზაიცევი, ი. მარკოვი და ნ. ტროიცკი.

— **ტფილისის ბირჟა.** 21 აპრილს ტფილისის ბირჟაზე უცხო ვალუტის კურსი გამოიხატა შემდეგში:

(ათ. მან.)

ოსმალეთის ოქროს ლირა 835

(ბანკნოტი) 175

— **მუშთა სახლი ქუთაისში.** ქუთაისში ქალაქის წყალსადინ სადგურთან ამთავრებენ 13 ოთახიან სახლს, რომელიც აგებული წყალსადინ მუშების საცხოვრებლად იქნება დანიშნული.

— **ქალაქის შემოსავალ გასავალი.** პირველი იანვრიდან პირველ აპრილამდი ტფ. ქალაქის აღმასკომის ფინანსიურ განყოფილებაში წარდგენილია შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა. შემოსავალი ამ ხნის განმავლობაში უდრის 36,406,729,093 მანეთს, მხოლოდ გასავალი არის 34,475,957,312 მან.

# სამხატვრო ქრონიკა

— **„სალომეა" ქართულ სცენაზე.** საბოლოოდ გადასწყდა ოსკარ უაილდის „სალომეა"-ს დადგმა ქართულ სცენაზე. პიესის მზადებას უკვე შეუდგნენ. „სალომეა" ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობ ქალის, ვერიკო ანჯაფარიძის საღამოსთვის იდგმება, რომელიც წავა დაახლოებით მაისის შუა რიცხვებში. უმთავრესი როლები განაწილებულია ასე: სალომეასასრულებს—ვერიკო ანჯაფარიძე, იოკანაანს—მ. ჭიაურელი, იროდს—ა. ვასაძე, იროდიადას—ნ. დავითაშვილი. ოსკარ უაილდის ეს პიესა ქართულ სცენაზე პირველად იდგმება.

— **„პოეზიის დღე".** მაისის 7-ს ტფილისში გადახდილი იქნება ტრადიციული ქართველ მწერალთა „პოეზიის დღე". ამ დღისთვის სპეციალურად გამოვა გაზეთი „პოეზიის დღე". თეატრებში და კლუბებში მოწყობილი იქნება სალიტერატურო საღამოები.

— **სამხატვრო აკადემია.** სამხატვრო აკადემია უკვე შეუდგა მუშაობას. ამორჩეულია და დამტკიცებული რექტორი და პროფესორი. მახლობელ დღეებში დამტკიცებენ ფაკულტეტის დეკანებს.

— **საეკლესიო განძეულების შეფასება.** მთავარი სამხატვრო კომიტეტის სექციის გამგეს მიენდო დაათვალიეროს საეკლესიო განძეულობის და მათი მხატვრული მხარეების შეფასება.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს მიდის ოპერა „ბატერფლაი". ხვალ ოპერეტა „სილვა".

— **გრ. რობაქიძის „ლონდა"** გრიგოლ რობაქიძის „ლონდა" სამხატვრო რევოლუციონურ თეატრში მალე დაიდგმება.

— **კოტე ყიფიანის პანაშვიდი 17** აპრილს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გადაიხადეს მსახიობ და საზოგადო მოღვაწის კოტე ყიფიანის პანაშვიდი. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა დიკანოზ [illegible]შვილმა, რომელმაც მშვენივრად დაახასიათა განსვენებული მსახიობის ღვაწლი. პანაშვიდს ბევრი ხალხი დაესწრო.

— **ახალი მწერლობის კავშირის საზოგადო კრება.** დღეს, 23 აპრილს დღისით 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შესდგება ახალი მწერლობის კავშირის საზოგადო კრება. კრებაზე განხილული იქნება საკითხები: „პოეზიის დღის" მოწყობა, დამატებითი არჩევნები საბჭოსი და მორიგი საკითხები.

# თეატრი და ხელოვნება

### ალ. იმედაშვილის გასტროლი ქუთაისში.

რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტი სიახლე ეტყობა ქართულ სცენას. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს ქართულმა სცენამ შესძლო მეთაურობა ქართული კულტურული ცხოვრებისა. ამ მხრივ პირველობა ქუთაისის თეატრს ეკუთვნოდა, რომლის წიაღიდან გამოვიდნენ დიდი ქურუმი ქართული სცენისა ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი და ძვირფასი დეკორატორი ჩვენი სცენისა ნინო ჩხეიძე. გარდა ამისა ქუთაისის თეატრმა თან მედროვე ცხოვრებისათვის შექმნა მთელი პლეიადა მსახიობებისა ალექსანდრე იმედაშვილისა და იუზა ზარდალიშვილის მეთაურობით. ქუთაისის თეატრმა ნახა თუ როგორი ნიჭის პატრონი მსახიობი განასახიერა „ოტელოში", „ურიელ აკოსტაში", „კარლოს მოორში" და სხ. ქუთაისის ახალი სკოლა მსახიობებისა სათავეში ჩაუდგა ქართულ სცენიურ კულტურას. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ქუთაისის თეატრს კვლავ ესტუმრა მისი საყვარელი მსახიობი ალექსანდრე იმედაშვილი; ჩვენდა საბედნიეროთ სრულიად განახლებული და გადახალისებული როლებით ვინ არ ჩაუთრევია იმედაშვილს „ოტელოს" სულიერ ტრაგიზმით. მაგრამ ყოველივე დიდ მსახიობს მიტომ ეკუთვნის ეპიტეტი—დიდი, რომ მას შეაქვს მეტი სიახლე ტიპის წარმოდგენით. ალ. იმედაშვილმა ღირსეულად შეასრულა დიდი მსახიობის მოთხოვნილებანი. ამ მხრივ მისი როლები ამ დღეებში პირდაპირ შედარებელი სიძლიერით იყვნენ დაჯილდოვებული. „ოტელოს" სახებით ურიელ „აკოსტა" და „კარლოს მოორი" და პირველობას კი ყოველთვის მსახიობი ინარჩუნებს. ქუთაისის საზოგადოებას მან საგანგებოდ დაანახვა, რომ მასში დუღს ორი რამ,—გენია და ენერგია, ეს დიდი მხარე ძვირფასი ტრაგიკოსისა აღმოჩნდა სწორედ „ჰამლეტის" განსახიერებაში. მე არ მინდა რომ ვილაპარაკო „ჰამლეტის" სუსტ მხარეებზე, ვინაიდან იგინი მცირენი არიან მეტის მეტათ მის დადებით თვისებებზე. ჰამლეტის მერყეობა თავის ძრწოლაზე, მისი ეჭვიანობა, სულიერი ტრაგიზმი, მისი პესიმიზმი—ყოველივე ნათლად და მშვენივრად განასახიერა იმედაშვილმა ქუთაისის სცენაზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის თეატრს კიდევ ესტუმრება იგი მისი „ჰამლეტით" მაგრამ ყოველგვარ სუსტ მხარეებისაგან დამოუკიდებლად. იმედაშვილმა საცნობით მტკიცედ დაგვანახვა თავის ნახიობური ტემპერამენტის სიძლიერე, მის ნიჭთან შედუღებული დიდი უნარი შრომისა და ენერგია. მან პირველმა გვიჩვენა რომ საჭიროა დიდ მსახიობისათვის ეს ორი რამ აუცილებლად. ჭეშმარიტად იმედაშვილი მემკვიდრეა ღირსეული შამისა და ტიტანია ჩვენი სცენისა, რისთვისაც მას ეკუთვნის უცილოთ ქართული სცენის მეფობის ტიტული.

**ბიძინა აბულაძე.**

# საქარ. სახალ. კომისართა საბჭ. საინფ. განყოფილების ბიულეტენი

### მდგომარეობა დუშეთის მაზრაში.

**თესვის საქმე.** შარშანდელი წლის გვალვების გამო, მოსავალი მაზრაში ძლიერ ცუდი იყო, ამიტომ არის, რომ მცხოვრებით წელს სათესლე მასალა სრულიად არ მოეპოვებათ, რის გამოც შემოდგომით დაუთესავი დარჩა მრავალი მიწა. გაზაფხულის თესვის დრო დადგა და მცხოვრებით არც ახლა მოეპოვებათ სათესლე მასალა. მაზრაში არსებობს თესვის კომისია, რომელიც შეძლებისადაგვარად ეხმარება ხალხს, მაგრამ მისი დახმარება მეტად მცირეა, და თუ დროზე არ იქნა აღმოჩენილი შევრალდ ძლიერი დახმარება,—მოსალოდნელია მრავალი მიწა დარჩეს დაუთესავი. დღემდის დახმარება სათესლე მასალის მიწოდებით აღმოუჩინეს მხოლოდ მთიულეთის, მოხევის და საგურამოს თემებს. დანარჩენი თემები კი ბაზალეთის, ჟინვალის, ქსნის და ზემო-მთიულეთის, ქვემო-მთიულეთის, კობის და ყაზბეგის, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ დახმარება-ჯირჯაროზით უკურადღებოთ არიან მიტოვებულნი, ვინაიდან ადგილობრივ ამის საშვალება არაა აქვთ.

**ნატურით გადასახადი.** სანამ აღმასრულებელი კომიტეტი შესდგებოდა სასურსათო გადასახადის საქმე ვერ იყო მაზრაში რიგიანად დაყენებული, აღმ. კომიტეტმა მიაქცია ამას ყურადღება და მიიღო ზომები სასურსათო გადასახადის სისწორით ასაკრეფად. მაგრამ აკრება სწარმოებს ნელის ტემპით, ვინაიდან ერთი—რომ იქნა მეტად გვიან დაწყებული და მეორე—მაზრაში არ მოიპოვება—ამ საქმისათვის გამოცდილი პირი. მიუხედავად ამისა მაინც მოსალოდნელია ამ ერთ თვეში აკრებილ იქნას მთელი გადასახადის 50 პროც.

— **ეკონომიური მდგომარეობა.** მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა მეტად ცუდია, ვინაიდან შარშანდელი ცუდი ამინდების გამო მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო და საკმაო სარჩო არავის მოსვლია. მცხოვრებთა დიდი ნაწილი უკვე სიმშილობს. შესდგა დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც მიმართავს მთავრობას დახმარებისათვის. გაცილებით უფრო ცუდია მაზრაში მუშამოსამსახურეთა მდგომარეობა, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუციათ სამი-ოთხი თვის ჯამაგირი და არც სურსათი. საჭიროა მიექცეს ამას ყურადღება და დროზე იქნას აღმოჩენილი დახმარება მოსამსახურეთა ჯამაგირებით დაკმაყოფილებით, თორემ ისე ყოვლად შეუძლებელი იქნება სიმშილთან შებრძოლება და წესიერი აღმშენებლობითი მუშაობა მაზრაში. საჭიროა აგრეთვე, რომ დუშეთის მაზრის მუშა მოსამსახურენი სურსათ-სანოვაგის და ჯამაგირების მხრივ, მიუწერონ იმ სარტყელს, რომელსაც ეკუთვნის ტფილისი, ვინაიდან სიძვირე აქ მეტია, ვიდრე ტფილისში.

... ეგაზაკობა და დეზერტირობა. საერთოდ მაზრაში სიმშვიდეა, ხოლოდ საჟურამოს, ჟინვალის და ყაზბეგის თემებში, რომლებიც წინათ, ისე ეხლაც ადგილი აქვს ძარცვა-გლეჯას და ქურდობას, განსაკუთრებით ფართე ხასიათი მიიღო ყაჩაღობამ ამ ბოლო დროს ყაზბეგის თემში, რის გამოც ძირმოდეც გადაზიდული იყო კომისია შთაგრო-ის მიერ, რომელმაც საჭიროდ დაინახა ამ მოვლენის საწინააღმდეგო შეიარაღებული იქნას განსაკუთრებული რაზმი. ადგილი აქვს აგრეთვე სამხედრო დეზერტირობასაც.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 8.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანიზაციის შესახებ.

1. ეკონომიურ ხასიათის სახალხო კომისარიატების მთელი სამეურნეო მოქმედების ხელმძღვანელობისა და შეთანხმებისათვის — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ იქნეს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

2. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარის უფლებით—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო წევრის უფლებით—სახალხო კომისარნი: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ფინანსთა, შრომისა, სასურსათო, მიწათმოქმედებისა, საგარეო ვაჭრობისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი.

**შენიშვნა 1:** უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი.

**შენიშვნა 2:** უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრთა მოადგილეს დანიშნავს სახალხო კომისართა საბჭო.

3. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაევალება:

ა) რესპუბლიკის მთლიანი სამეურნეო გეგმის შემუშავება.

ბ) თვითეულ სახალხო კომისარიატის სამეურნეო გეგმის დამტკიცება,

გ) სახალხო კომისარიატებისათვის სპეციალური დირექტივების მიცემა ამა თუ იმ სამეურნეო საკითხის გამო.

4. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყოველი ბრძანება, დადგენილება და განკარგულება აღსრულებულ უნდა იქნეს ყოველივე რიგს გარეშე და უცილობლად ყველა უწყებისა, დაწესებულებისა, თანამდებობისა და კერძო პირის მიერ.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვთ გააუქმონ, ან შეაჩერონ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილება ან გადაწყვეტილება, როგორც რომელიმე სახალხო კომისარის პროტესტის გამო, აგრეთვე თავისი შეხედულებისამებრ.

**შენიშვნა:** სახალხო კომისარი, რომელიც არ ეთანხმება უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებას, ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ სამი დღის განმავლობაში დღიდან ცნობის მიღებისა.

6. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს კვირაში ერთხელ მაინც.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 52 და 93 №№-ის დადგენილებანი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

1922 წ. აპრილის 15.

ტფილისი-სასახლე.

# სავალდებულო დადგენილება

**ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა (სამმართველოს განყოფილ.)**

**№ 4.**

(გაგრძელება)

20 აპრილი 1922 წ. ქ. ტფილისი.

7) საბინაო დავთრისა და სამისამართო ბარათის სათანადო უჯრედში ცნობები უნდა ჩაიწეროს, თანახმად ამავე უჯრედში აღნიშნულ წესისა. დავთარი და სამისამართო ბარათი იწერება სუფთათ და გარკვევით, ყოველგვარი ამოფხეკისა და წარწერების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავთარი და ბარათი ხელახლა უნდა დაიწეროს.

8) თუ მოქალაქე მსახურობს რომელიმე დაწესებულებაში ან წარმოებაში, სამისამართო ბარათის პირველ გვერდზე უნდა აღინიშნოს პროფესიონალურ კავშირის საწევრო წიგნაკის ნომერი, ხოლო ბარათის მეორე გვერდზე კი დაწესებულების სრული სახელი, მისი მისამართი და ტელეფონის №.

§ 3. საბინაო დავთარი ინახება სახლში და ის უნდა წარედგინოს სამისამართო ბიუროს ან ქალაქის მილიციას პირველ მოთხოვნილებისთანავე.

§ 4. თუ საბინაო დავთარი დაიკარგა, იმ შემთხვევაში საბინაო დავთრის მწარმოებელი პირი ვალდებულია ამის შესახებ გამოაცხადოს ადგილობრივ პრესაში და შეიძინოს ახალი დავთარი.

§ 5. საბინაო დავთრები, სამისამართო ბარათები და ცნობის ფურცლები იყიდება ქალაქის სამისამართო ბიუროში და სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოში ბარათების მიმღებთან იმ ფასებში, რომელიც დამტკიცებულია ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების მიერ.

§ 6. სამისამართო ბარათების მიღება ხდება სათანადო სამილიციო რაიონის სამმართველოში ბარათის მიმღების მიერ, რომელსაც ევალება უსასყიდლოთ დაუბრკოლებლივ მოქალაქეებზე საბინაო დავთრებში ჩაწერის შესახებ საჭირო ცნობების მიცემა. აგრეთვე ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ცენტრალურ სამისამართო ბიუროში.

§ 7. ყოველი მოქალაქე ვალდებულია თუ ბარათების მიმღები იქცევა უწესოთ და სამსახურში არ ცხადდება თავის დროზე ამის შესახებ წერილობით ან სიტყვიერად განუცხადოს სამისამართო ბიუროს გამგეს, რომელიც თავის მხრივ მიიღებს შესაფერ ზომებს.

§ 8. ყოველ სახლში ბინები უნდა იყოს დანომრილი და თვითეულ ბინას გამოსავალ კარებზე უნდა ქონდეს დასმული ნომერი რიგის მიყოლით. საბინაო დავთარში ბინები უნდა იქნას შეტანილი ამ ნომრების მიხედვით.

§ 9. საბინაო დავთრების და სამისამართო ბარათების ღირებულება თანასწორად ნაწილდება სახლის ყველა მდგომრებზე.

§ 10. 1922 წლის საბინაო დავთრების გაყიდვა იწყება სამისამართო ბიუროში (შტაბის ქ. № 2) ა/წ. 20 აპრილიდან. დავთრის მყიდველს თან უნდა ჰქონდეს შემდეგი ცნობები:

ა) სახლის პატრონის ვინაობა,

ბ) ქუჩის სახელი, ძველი და ახალი,

გ) სახლის № და რამდენ სართულიანია,

დ) სახლი ქვისაა თუ ხის,

ე) რამდენი ოთახი აქვს,

ვ) რამდენი სული ცხოვრობს სახლში.

11) ქალაქ ტფილისის მ/გ. მილიციის უფროსს და სამისამართო ბიუროს გამგეს ევალება ამ დადგენილების სწორ-უცვლელად ცხოვრებაში გატარება. დადგენილების დამრღვევი მოქალაქენი დაისჯებიან აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების გამგის ადმინისტრატიული ხელისუფლებით—6 თვემდის გამასწორებელ სახლში მოთავსებით ანდა 25,000.000 მანეთამდის დაჯარიმებით.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **წივწივაძე.**

სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი გ. მაჩაიძე.

მდივანი **სახურია.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

ზაქ. ჭიჭინაძის წერილის გამო.

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის ფურცლებზე დაუთმოთ ადგილი შემდეგ ჩემ წერილს.

პატივცემულ ზაქარია ჭიჭინაძის წერილებში დიმიტრი ყიფიანზე მოყვანილია უკანასკნელის წერილი ეგზარხოს პავლესთან მიწერილი და როგორც ფრჩხილებში ჩასმული უნდა ვიგულისხმოთ დედანიდან გადმოღებულად, ნამდვილად კი ეს ასე არ არის, პატივცემულ ავტორი ალბად დაახლოვებით იმეორებს წერილის შინაარს და რადგან შესამჩნევლად განსხვავდება დიმიტრი ყიფიანის მიერ მიწერილ წერილთან, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ სიტყვა სიტყვით გადათარგმნილი წერილი ხელახლად დაიბეჭდოს.

ამასთანავე გაახლებთ წერილსა, რომელიც უკვე იყო გაზ. „ქასართველოში" დაბეჭდილი ამ ორი წლის წინად.

„თქვენო მეუფებავ!

მოიღეთ მღვდელ-მთავრული წყალობა და შემინდეთ დაუჯერებელი ხმის აყოლით თუ ვცოდავდე.

მაგრამ ეს ხმა გაწერთ თქვენ ... ქვეყნის შეჩვენებს, რომლის მწყემსად ხართ მოწოდებული და რომლიც ამიტომ თქვენგან მხოლოდ სიყვარულსა და მოწყალებას თუ მოელოდა, როგორც ქრისტეს პირველ მსახურისა და წარმომადგენლისაგან.

იგივე ხმა არ კმაყოფილდება თქვენი მაღალ ხარისხის ასეთი შეურაცყოფით და გაწერთ კიდევ სამწყსოს წინ ბოდიშის მოხდის განზრახვას თქვენ მიერ წარმოთქმულ უღირსად ცოდვილ სიტყვათა გამო.

თუ ყველა ეს მართალია, მეუფეო, ხსნა თქვენი წოდების ღირსებისა მხოლოდ შემარცხვენელის—შერცხვენილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივი გაცლით და თუ შეიძლება ...

ამას მოგახსენებთ თქვენ წმინდა გულით და წრფელის სურვილით ახალი უზომო შეცოდების თავიდან ასაცილებლად ერთი თქვენი სამწყსოთაგანი.

და თუ ყველა ეს არ არის მართალი, მღვდელ-მთავრული თქვენი კურთხევა იყოს ჩემზე მოტევებისათვის."

ეს წერილი დ. ყიფიანისა არის ნათარგმნი სიტყვა—სიტყვით დედნიდან.

ნ. ყ—ნი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა, მოცემული ოთხ ეზნის სამილიციო სამართველოს ... ფილოს პატროსის ძე სარქისოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 248